



ასოციაცია “ჰერა XXI”

მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა



ანალიტიკური ანგარიში

2017



მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა

კვლევა მომზადებულია ასოციაცია "ჰერა XXI-ს" მიერ

კვლევის ავტორი: სალომე იოზაძე

Copyright © 2017 ასოციაცია „ჰერა XXI“

ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ IIკვ. შენობა 9, ბ 2;

ტელ: (032) 2 14 28 53;

www.hera-youth.ge

www.forparents.ge



სარჩევი

შესავალი..... 4

კვლევის მიზანი და ამოცანები 5

კვლევის მეთოდოლოგია..... 6

კითხვარი 6

კვლევის შეზღუდვები..... 7

ძირითადი მიგნებები 7

შედეგები 8

 დემოგრაფიული მონაცემები..... 8

 სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების აღქმა მშობლების მიერ..... 10

 პერსონალური გამოცდილება 12

 მშობლების დამოკიდებულებების ანალიზი..... 14

 მშობლების ინფორმირების გზების ანალიზი..... 17

 კომენტარები 19

დასკვნა 22

რეკომენდაციები..... 23

გამოყენებული ლიტერატურა..... 24

დანართი 1..... 25

შესავალი

საქართველოში სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებზე ხარისხიანი და სრულფასოვანი განათლება მოზარდებისთვის ხელმიუწვდომელია. ეს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია არასრულწლოვნებში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების, არასასურველი და დაუგეგმავი ორსულობის, ნადრევი ან იძულებითი ქორწინების, რაც თავის მხრივ არღვევს ადამიანის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობას.

ამ საკითხს ცალკე პარაგრაფი ეთმობა "ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში". ამ ანგარიშის მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში 18 წელს მიუღწეველთა 611 ქორწინება დარეგისტრირდა. მათ შორის 578 არასრულწლოვანი გოგონა იყო¹. ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, არასრულწლოვნებში აბორტის რეგისტრირებული მაჩვენებელი 2015 წლის მონაცემებით, 15 წლამდე ასაკის გოგონებში იყო 9, და 15-19 წლის ჩათვლით 1335 შეადგენს².

იმას, რომ არასრულწლოვანთა ქორწინების და აბორტის მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა, ასოციაცია "ჰერა XXI-ის" დაკვეთით სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებიც მოწმობს. კვლევის საბოლოო ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები სოციალიზაციის პროცესს გადიან ისე, რომ ადეკვატური ინფორმაცია არ აქვთ სექსუალურ ცხოვრებასა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე³.

¹ ადამიანის უფლებათა საბჭო, 32-ე სხდომა, "ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ"; 6 ივნისი, 2016 წელი. მოძიებულია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf>

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სტატისტიკა. მოძიებულია: http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/genderuli%20statistika.pdf

³ ასოციაცია "ჰერა XXI", "ახალგაზრდების ცხოვრებისეული გამოცდილება სექსისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით", 2017; მოძიებულია: <http://en.calameo.com/read/00411002196b9f20b01aa>



მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა

2016 წელს ასოციაცია ჰერა XXI-ის მიერ ჩატარებულმა ახალგაზრდების დამოკიდებულებების კვლევამ - “კვლევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცოდნის შესახებ” აჩვენა, რომ ახალგაზრდები სექსუალობის შესახებ ცოდნის მიწოდებაზე მთავარ პასუხისმგებლობას სკოლასა და მშობლებს აკისრებენ. აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო პირველადი ინფორმაცია სკოლიდან ან მშობლებისგან.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შევავსოთ, როგორია მშობლების დამოკიდებულება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე შვილების ინფორმირებასთან მიმართებაში.

გამოკითხვის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები მშობლების დამოკიდებულების შესწავლა რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობასა და უფლებებზე შვილების ინფორმირების კუთხით; კვლევის დიზაინზე მუშაობისას განისაზღვრა წარმოდგენილი კვლევის ამოცანები:

მშობლების მიერ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების აღქმა

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ შვილების ინფორმირების მიზნობრიობის განსაზღვრა

შვილებთან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ საუბრის დაწყების ასაკის განსაზღვრა

ინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირება და მათი ეფექტურობის შეფასება

მშობელთა ცნობიერების ამაღლების წყაროების განსაზღვრა

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო.



მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხვის ტექნიკად გამოყენებულ იქნა ინტერნეტ გამოკითხვა, რომელიც განხორციელდა შემდეგი პროგრამული უზრუნველყოფის: Survey Monkey, Google Forms და მშობლების ვებ-გვერდზე forparents.ge ჩაშენებული კითხვარის საშუალებით.

აღნიშნულ პროგრამებში აგებული კითხვარის ბმული სამიზნე პოპულაციაში გავრცელდა სხვადასხვა საშუალებით, ელ-ფოსტის მისამართებზე, ბანერი ბმულით განთავსდა ასოციაცია ჰერა XXI-ს Facebook-ის გვერდზე. კვლევაზე მუშაობის პერიოდი იყო - 2017 წლის ივლისი - 2017 წლის ნოემბერი

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი
ტექნიკა	ინტერნეტ გამოკითხვა
სამიზნე ჯგუფი	მშობლები
შერჩევის ზომა	500 რესპონდენტი
შერჩევის მეთოდი	შემთხვევითი შერჩევა
კვლევის არეალი	საქართველო

კითხვარი

კითხვარი შემუშავდა ასოციაცია ჰერა XXI-ს მიერ (იხ. დანართი 1). კითხვარი შედგებოდა 12 ნახევრად დახურული და დახურული კითხვისგან. კითხვარის ბოლოს დაინტერესებულ რესპონდენტებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა მიეთითებინათ თავიანთი ელფოსტა, თუ სურდათ კვლევის შედეგების გაცნობა.

კვლევის შეზღუდვები

კვლევა განხორციელდა ალბათური შერჩევის საფუძველზე. კვლევის მონაცემთა განზოგადებისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან არ მოიცავს მშობლების იმ ჯგუფს,

რომლებიც არ არიან ინტერნეტის მომხმარებლები. ამიტომ კვლევის შედეგებს მთელ სამიზნე ჯგუფზე ვერ განვაზოგადებთ.

კვლევის შეზღუდვას ასევე წარმოადგენდა ის, რომ ონლაინ კითხვარი არ ითვალისწინებს დამაზუსტებელი კითხვების დასმას დამატებითი ინფორმაციის მიღების ან დაკონკრეტების მიზნით.

ძირითადი მიგნებები

- ❑ მშობლები საჭიროდ თვლიან შვილების ინფორმირებას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე. მიუხედავად ამისა, მათ უმრავლესობას თავად არ უსაუბრიათ საკუთარ შვილებთან მოცემულ საკითხებზე
- ❑ მშობლები ყველაზე ხშირად მიმართავენ ლიტერატურას, მეგობრებსა და ინტერნეტს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად
- ❑ მშობლები ე.წ. „გარდატეხის ასაკს“ 10-12 და 13-15 წლებს მიიჩნევენ ყველაზე ოპტიმალურ პერიოდად შვილებთან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ საუბრის დასაწყებად.
- ❑ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის წყაროებიდან მშობლებს შორის ყველაზე მაღალი სანდოობით სარგებლობს ოჯახი და სკოლა.
- ❑ რესპონდენტები თვლიან, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია მშობლების ცნობიერების ამაღლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევენ ვებგვერდს, წიგნებს და პირად ექიმთან კომუნიკაციას.

შედეგები


დემოგრაფიული მონაცემები

მონაწილეთა რაოდენობა

კითხვარი შეავსო სულ 658 რესპონდენტმა, რომელთაგან დამუშავდა მხოლოდ ის პასუხები, სადაც მითითებული იყო მშობლის სტატუსი, სულ 500.


სქესი

ინტერნეტ-გამოკითხვის მონაწილეების 84%-ს წარმოადგენდნენ ქალები, 16%-ს მამაკაცები. ანალოგიურად გადანაწილდა კვლევაში მონაწილე მშობლების სტატუსიც.




განათლება

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას (გამოკითხულთა 73%) შეადგენენ უმაღლესი განათლების მქონე პირები, გამოკითხულთა 10%-ს აქვთ სამეცნიერო ხარისხი. თანაბრად განაწილდა სპეციალიზებული და საშუალო განათლების მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი 5-5%. არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა გამოკითხულთა 4%-ს, ხოლო არასრული საშუალო - 3%-ს.



შვილების სქესი


გამოკითხულთა 38%-ს ჰყავს მხოლოდ გოგო, 30%-ს _ მხოლოდ ბიჭი, ხოლო 32%-ს ორივე სქესის შვილი.



სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების აღქმა მშობლების მიერ

კვლევამ გაანალიზა, თუ რა თემებს აკუთვნებენ მშობლები სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას. გამოკითხულთა მხოლოდ 4% აღიქვამს ყველა ქვემოთ მოცემულ თემას სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებად. რესპონდენტთა 85,2%-მა ჰიგიენა დაასახელა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობაში შემავალ საკითხად, 75%-ზე მეტი მხარდაჭერა მოიპოვა ასევე შემდეგმა თემებმა: სქესობრივი მომწიფება, ადამიანის რეპროდუქციული სისტემა, ფიზიოლოგიური განვითარება, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. გამოკითხულთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ ასევე მიუთითა ჯანსაღი ცხოვრების წესი (70,8%), რეპროდუქციული ჯანმრთელობა (67,2%), ნაადრევი ქორწინება (64,4%), ფსიქოსექსუალური განვითარება (62%). მშობლების უმრავლესობამ ასევე გამოკვეთა შემდეგი თემები: სხეულის აღქმა (59,6%), ოჯახის დაგეგმვა, კონტრაცეფცია (56,8%), სექსუალური ქცევა (52,8), ურთიერთობები (52%), სქესი და გენდერი (51,6%), სექსუალური ძალადობა (51,6%),


ოჯახური ღირებულებები 50.8%, რეპროდუქციული უფლებები 50.4%. გამოკითხულთა 0.8%-თავად დაამატა საკითხი: სიყვარული, გატაცება გარდატეხის ასაკში.



პერსონალური გამოცდილება

კითხვაზე, დაუსვამს თუ არა თავიანთ შვილს კითხვა ზემოთ ჩამოთვლილ

პასუხებზე, მშობელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არა. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უცნობია შვილების ასაკი უარყოფითი პასუხის გამცემ რესპონდენტთა შორის.




ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყაროები

კითხვაზე, თუ საიდან მიიღეს თავად მშობლებმა ინფორმაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა. ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყაროა ლიტერატურა (87.7%), მეგობრები(80%) და ინტერნეტი (70,2%). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავად მშობლებისგან ინფორმაცია გამოკითხულთა 45%-მა მიიღო, რაც მკვეთრად განსხვავდება 2016 წელს ასოციაცია ჰერა XXI-ის მიერ ახალგაზრდებში ჩატარებული გამოკითხვის მაჩვენებლისგან, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 7,7%-მა მიიღო ინფორმაცია მშობლებისაგან⁴. ამასთან, რესპონდენტთა 36%-მა აღნიშნა, რომ ინფორმაცია მიიღო სამედიცინო დაწესებულებისაგან. გამოკითხულთა მცირე რაოდენობამ ასევე მიუთითა ნათესავები (8,3%), ფსიქოლოგი (6,7%) და საეკლესიო

⁴ ასოციაცია ჰერა XXI. “კვლევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცოდნის შესახებ”, 2016

პირი (1,7%) ინფორმაციის წყაროებად. მშობლების 0,2%-მა აღნიშნა, რომ საერთოდ არ მიუღიათ არანაირი ინფორმაცია.




მშობლების დამოკიდებულებების ანალიზი


როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, მშობელთა 95%-ს მიაჩნია, რომ საჭიროა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ შვილების ინფორმირება. მხოლოდ 5%-ს მიაჩნია მიზანშეუწონლად შვილებთან ზემოთ მოცემულ თემატიკაზე საუბარი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი გარემოება - მიღებული განათლების დონე პირდაპირ კორელაციაშია მშობლის დამოკიდებულებასთან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე შვილების ინფორმირებასთან მიმართებაში. კერძოდ, სამეცნიერო ხარისხის მქონე ყველა რესპონდენტი საჭიროდ თვლის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ შვილების ინფორმირებას, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა მხოლოდ 1% ეწინააღმდეგება მოცემულ საკითხებზე შვილებთან საუბარს, ხოლო არასრული საშუალო და საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა შორის აღნიშნული მონაცემი 15%-მდე აღწევს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლების სტატუსი გავლენას ახდენს მშობლების დამოკიდებულებაზე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ შვილების ინფორმირებასთან მიმართებით.

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა მშობელი შვილს ესაუბროს რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობაზე




გარდა შვილებთან საუბრის მიზანშეწონილობის განსაზღვრისა, მშობლებმა ასევე მიუთითეს ასაკი, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე ოპტიმალურია რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ საუბრის დასაწყებად. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (ჯამში 64%) პუბერტატულ ასაკს მიიჩნევს ყველაზე რელევანტურად საუბრის დასაწყებად. კერძოდ, მშობელთა 33% 13-15 წლის, ხოლო 31% 10-12 წლის ასაკობრივ შუალედს განსაზღვრავს ოპტიმალურ პერიოდად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მშობლების მიერ განსაზღვრული ასაკი გარკვეულწილად ემთხვევა ასოციაცია ჰერა XXI-ის მიერ 2016 წელს ჩატარებულ ახალგაზრდების გამოკითხვის შედეგებს, სადაც ახალგაზრდების უმრავლესობამ სწორედ ე.წ. „გარდატეხის“ ასაკი მიუთითა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ინფორმაციის მიღების სასურველ პერიოდად.



ინფორმაციის მიღების სანდო წყაროები

კვლევის ფარგლებში მშობლებმა ასევე გამოკვეთეს ის ინფორმაციის წყაროები, საიდანაც ისურვებდნენ, თავიანთ შვილებს მიეღოთ ინფორმაცია. მშობლებს შორის ყველაზე მაღალი სანდოობით სარგებლობს ოჯახი და სკოლა. საშუალოზე ოდნავ დაბალი მხარდაჭერა აქვს ლიტერატურას. გამოკითხულთა მესამედი სანდო წყაროდ მიიჩნევენ სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო მეოთხედი ფსიქოლოგსა და ინტერნეტს. გამოკითხულთა მცირე ნაწილი ასევე ასახელებს არაფორმალურ განათლებას, მეგობრებსა და მასმედიას. მშობლების 5%-მა ასევე მიუთითა ეკლესია, ხოლო 2-მა რესპონდენტმა პარტნიორი.




მშობლების ინფორმირების გზების ანალიზი


კითხვაზე, საჭიროა, თუ არა მშობლების ცნობიერების ამაღლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (93%) დადებითად პასუხობს.

მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა მშობლების ცნობიერების ამაღლება რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის საკითხებზე



შემდეგ კითხვაში კვლევის მონაწილეებს გამოევიძინეს ყველაზე ეფექტური გზა მშობლების ცნობიერების ასამაღლებლად. მშობლებს უნდა შეეფასებინათ 7 ბალიან შკალაზე ქვემოთ მოცემული საშუალებები (7 არის ყველაზე ეფექტური, 1 ყველაზე არაეფექტური)



როგორც შედეგები აჩვენებს ყველაზე ეფექტურ წყაროდ მშობლები მიიჩნევენ ვებ-გვერდს (4.79), შემდეგ მოდის წიგნები (4.62), პირად ექიმთან კომუნიკაცია (4.59), ფსიქოლოგთან კომუნიკაცია (4.41), მასმედიის საშუალებები (4.34) და ბოლოს, არაფორმალური ტრენინგები (4.06).

კომენტარები

ცალკე გაანალიზდა კომენტარები, რომლებიც ინტერნეტ გამოკითხვის მონაწილეებმა მოგვწერეს. შენიშვნებისა და კომენტარების ველი გამოკითხვის ბოლოს, უკუკავშირის მისაღებად დავურთეთ, რათა მონაწილეებს ქონოდათ საშუალება, თავიანთი აზრი გაეზიარებინათ:

ბევრი მათგანი პოზიტიურად გამოეხმაურა კვლევას და საჭიროდ მიიჩნია სექსუალური ჯანმრთელობის საკითხზე ინფორმაციის შეგროვება. მათი აზრით, საკითხი აქტუალურია და საჭიროა ამ სფეროს ხელშეწყობა:

- *„ძალიან საჭირო და აუცილებელია მშობელი ტრენინგები და ინფორმირება, შვილებთან სასაუბრო ენის გამონახვისთვის, რადგან თითოეულ მათგანს ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო, ამიტომ განხილული უნდა იქნას მოზარდის ხასიათის სირთულებები და გათვალისწინებული უნდა იყოს, რადგან თავიდან ავიცილოთ კომპლექსები და მოზარდის ჩაკეტილობა.“*
- *„არასრულწლოვანთა არაინფორმირებულობა ან/და არასწორი ინფორმირებულობა ხდება სწორედ ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი ფორმის ნაადრევი ქორწინების გამოდახილი, ამიტომ მნიშვნელოვანია როგორც მშობლების ასევე არასრულწლოვანებისათვის ინფორმაციის მიწოდება არაფორმალური ტრენინგებისა და მასმედიის საშუალებით მესიჯბოქსების, მცირე სარეკლამო რგოლების და სხვა ადვილად აღსაქმელი ტიპის ინფორმაციის მიწოდებით“*

რესპონდენტთა ნაწილმა ასევე მიუთითა ის საკითხები, რომლის შესახებაც ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის მიღებას. მშობელთა განსაკუთრებული ინტერესის საგანია რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე შვილებთან ეფექტური კომუნიკაციის მეთოდების ცოდნა.

- *ვისურვებდი უფრო მეტი ინფორმაცია მქონოდა მოზარდისთვის ინფორმაციის გადაცემის ხერხების შესახებ, 10 + ბავშვისთვის ნაკლებად ტრამვეული და მარტივი რომ იყოს მსგავსი ინფორმაციის აღქმა.*
- *როგორი სახის კომუნიკაციით უნდა ესაუბროს მშობელი ამ საკითხზე შვილს*

- როგორ ავუხსნათ ბავშვებს ეს ყველაფერი ისე რომ არ დაისტრესონ
- როგორ ველაპარაკოთ მოზარდებს (ასაკიდან გამომდინარე), არაფორმალურად, სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ?
- ფსიქოლოგების დასკვნებს და შეხედულებებს გავეცნობოდი ამ თემის გარშემო.
- ბავშვის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რა ფორმითაა უმჯობესი შვილისთვის ინფორმაციის მიწოდება.
- ბავშვს რა ფორმით მივაწოდოთ ინფორმაცია მისი ასაკის და ადგილობრივი სოციუმის გათვალისწინებით
- როგორ მივაწოდო ბავშვს სწორად აღნიშნული საკითხები

მშობელთა ინტერესს ასევე იწვევს კონკრეტული თემების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება.

- კონტრაცეფცია
- ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჰიგიენა
- შვილის თვალთ დახახული სამყარო
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ
- ყველა იმ საკითხზე, რაც აუცილებელია რომ ბავშვობის ასაკიდან იცოდეს გოგომ
- რეპროდუქციულ და სქესობრივ თემებზე საუბრის წესები ბავშვებთან, ჰიგიენა, უსაფრთხო სექსი, ინფექციური დაავადებები
- რეპროდუქციული განვითარება
- ბავშვის რეპროდუქციული განვითარების ეტაპები, ფსიქოლოგიური განწყობები და ჰიგიენური საკითხები
- სექსუალობა
- ფსიქოსექსუალური განვითარება
- ნაადრევი ქორწინება, გარდატეხის ასაკი.
- სქესობრივი განვითარება

დამატებითი კომენტარების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მშობლებს ასევე აინტერესებთ ურთიერთობებთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე ინფორმაციის მიღება:

- *მშობლების და შვილების ურთიერთობებში სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა*
- *მამის როლზე ამ საკითხში*
- *„როგორ შეიძლება თავიდან ავარიდოთ შვილს თავისუფალი სექსუალური ცხოვრება.“*

მშობელთა ინტერესის საკითხს ასევე წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორცაა:

- *სტატისტიკური მონაცემები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით*
- *რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება*
- *რამდენად ამზადებენ სკოლის მასწავლებლებს მოცემულ საკითხებზე და ამოწმებენ თუ არა მათი გადმოცემის მეთოდებს სკოლებში*
- *შშმ პირების რეპროდუქციული განათლება*

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მშობლები, იმის მიუხედავად, თავად უსაუბრიათ თუ არა, საჭიროდ თვლიან შვილების ინფორმირებას სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე.

ამასთან, მშობლების განათლების დონე პირდაპირ კორელაციაშია მშობლის დამოკიდებულებასთან სქესობრივ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე შვილების ინფორმირებასთან მიმართებაში.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მშობლები ყველაზე ხშირად მიმართავენ ლიტერატურას, მეგობრებსა და ინტერნეტს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად.

შედეგები ცხადყოფს, რომ მშობლები ე.წ. „გარდატეხის ასაკს“ 10-12 და 13-15 წლებს მიიჩნევენ ყველაზე ოპტიმალურ პერიოდად შვილებთან სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ საუბრის დასაწყებად.

მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის წყაროებიდან მშობლებს შორის ყველაზე მაღალი სანდოობით სარგებლობს ოჯახი და სკოლა.

რესპონდენტები თვლიან, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია მშობლების ცნობიერების ამაღლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიიჩნევენ ვებგვერდს, წიგნებს და პირად ექიმთან კომუნიკაციას.

დამატებითი კომენტარების სახით გამოიკვეთა მშობლების სურვილი, მიიღონ მეტი ინფორმაცია შვილებთან სწორი და ასაკობრივად მიზანშეწონილი კომუნიკაციის გზებზე.

ინტერნეტ გამოკითხვაში მონაწილე მშობლების რაოდენობა და აქტიურობა ცხადყოფს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები მათთვის მნიშვნელოვანია.

რეკომენდაციები

- გამომდინარე იქიდან, რომ მშობლებს სურთ თავიანთი შვილების ინფორმირება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, მნიშვნელოვანია მათ ჰქონდეთ საშუალება, თავად მიიღონ სწორი და ზუსტი ინფორმაცია მოცემულ საკითხებზე.
- რადგან მშობლები ძირითად პასუხისმგებლობას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე განათლების მისაღებად აკისრებენ სკოლას და მშობლებს, მნიშვნელოვანია მშობლების და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება იმის შესახებ, თუ როგორ მიაწოდონ შვილებსა და მოსწავლეებს საჭირო ინფორმაცია სწორად და მეგობრულ გარემოში;
- როგორც გამოკითხვა გვიჩვენებს, მშობლების დიდი ნაწილი ინფორმაციის მიღების ეფექტურ წყაროდ თვლის ვებგვერდებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სპეციალურად მათთვის მომზადდეს საინფორმაციო ბაზა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, რომელიც დაზუსტებული, ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი იქნება მათთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

„ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში“, 32-ე სხდომა. საქართველოს სახალხო დამცველი. 2016. მოძიებულია:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf>

გენდერული სტატისტიკა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია:

http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/genderuli%20statistika.pdf

ასოციაცია „ჰერა XXI“, „ახალგაზრდების ცხოვრებისეული გამოცდილება სექსისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით“, 2017. მოძიებულია:

<http://en.calameo.com/read/00411002196b9f20b01aa>

ასოციაცია „ჰერა XXI“, „კვლევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცოდნის შესახებ“, 2016

დანართი 1.

კითხვარი

მშობლების დამოკიდებულებების კვლევა

მოგესალმებით!

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაცია საქართველოში ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი არაა. აღნიშნული საკითხები მცირე დოზით (არასაკმარისად) არის წარმოდგენილი ფორმალური განათლების სასწავლო პროგრამაში, რაც ხელს უშლის სწორი და საჭირო ინფორმაციის გავრცელებას. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაციის ნაკლებობა წარმოშობს ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორცაა: ადრეული ქორწინება, ნაადრევი ორსულობა და სხვა. ბავშვის სწორი ფიზიოლოგიური განვითარებისა და სქესობრივი აღზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შევაფასოთ, როგორია მშობლების დამოკიდებულება შვილების რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის მიმართ და თავად რამდენად ახდენენ შვილების ინფორმირებას მათთვის საინტერესო საკითხებზე.



თქვენი როგორც მშობლის სტატუსი *

- დედა
- მამა

მშობლის განათლება

- არასრული საშუალო
- საშუალო
- პროფესიული
- არასრული უმაღლესი

- უმაღლესი
- სამეცნიერო ხარისხი

შვილების სქესი

- გოგო
- ბიჭი
- ორივე

თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა მშობელი შვილს ესაუბროს რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობაზე *

- დიახ
- არა

თქვენი აზრით, რა ასაკიდან უნდა ესაუბროს მშობელი შვილს რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე

- 0-3 წლის ასაკიდან
- 4-6 წლის ასაკიდან
- 7-9 წლის ასაკიდან
- 10-12 წლის ასაკიდან
- 13-15 წლის ასაკიდან
- 16-18 წლის ასაკიდან
- სხვა:

თქვენი აზრით, რა თემებს მოიცავს რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა

- ადამიანის რეპროდუქციული სისტემა
- ფიზიოლოგიური განვითარება
- სქესობრივი მომწიფება
- ფსიქოსექსუალური განვითარება
- სხეულის აღქმა
- ჰიგიენა
- ჯანსაღი ცხოვრების წესი
- ოჯახური ღირებულებები

- ურთიერთობები
- სქესი და გენდერი
- სექსუალური ქცევა
- რეპროდუქციული უფლებები
- ნაადრევი ქორწინება
- რეპროდუქციული ჯანმრთელობა
- ოჯახის დაგეგმვა, კონტრაცეფცია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- სექსუალური ძალადობა
- სხვა:

დაუსვამს თუ არა თქვენს შვილს შეკითხვა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე *

- დიახ
- არა

თავად რომელი წყაროდან მიგიღიათ ინფორმაცია რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობის საკითხებზე

- მშობლები
- მეგობრები
- საგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა, პროფესიული სასწავლებელი, უნივერსიტეტი)
- ლიტერატურა
- ნათესავები
- მასმედიის საშუალებები
- ინტერნეტი
- ფსიქოლოგი
- სამედიცინო პერსონალი
- საეკლესიო პირი
- სხვა:

თქვენი აზრით, საიდან უნდა მიიღოს ბავშვმა ინფორმაცია რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე *



მშობლების დამოკიდებულებებისა და საჭიროებების კვლევა

- ოჯახი
- სკოლა
- ფსიქოლოგი
- მეგობრები
- სამედიცინო დაწესებულება
- ეკლესია
- არაფორმალური განათლება
- ლიტერატურა
- მასმედია
- ინტერნეტი
- სხვა:


თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა მშობლების ცნობიერების ამაღლება რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე *

- დიახ
- არა

თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ეფექტური გზა მშობლების ცნობიერების ასამაღლებლად. (გთხოვთ, 7ბალიანი შკალით შეაფასოთ თითოეული მათგანი, სადაც 7 მიესადაგება ყველაზე ეფექტურს, 1 ყველაზე არაეფექტურს)

	7	6	5	4	3	2	1
მასმედიის საშუალებები							
ვებ-გვერდი							
წიგნები							
არაფორმალური ტრენინგები							
ფსიქოლოგთან კომუნიკაცია							
პირად ექიმთან კომუნიკაცია							
მასმედიის საშუალებები							
ვებ-გვერდი							
წიგნები							
არაფორმალური ტრენინგები							
ფსიქოლოგთან კომუნიკაცია							
პირად ექიმთან კომუნიკაცია							

რა საკითხის/საკითხების შესახებ ისურვებდით მეტი ინფორმაციის მიღებას



თუ გსურთ მეილის საშუალებით გაეცნოთ გამოკითხვის შედეგებს გთხოვთ, მიუთითეთ თქვენი მეილი

მადლობა კითხვარის შევსებისთვის, თქვენი პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის

SUBMIT

განმარტება:

რეპროდუქციული ჯანმრთელობა ნიშნავს რეპროდუქციულ სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას მთელი სიცოცხლის მანძილზე.

სქესობრივი უფლებები არის ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობებსა და ადამიანის საეთაშორისო უფლებათა კონვენციაში. ის მოიცავს ყველა ადამიანის უფლებას, რომ იძულების, დისკრიმინაციისა და ძალადობის გარეშე, ქონდეს უმაღლესი სტანდარტის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და, ხელმისაწვდომობა რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის სერვისებზე.

ასოციაცია "ჰერა XXI-ს" შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ ვებ. გვერდს: <http://hera-youth.ge/>